ხელშეკრულება№ 75
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 26 03 2013 წელი

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ როსებაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „მშენებელი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი დონგუზაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით ქ გორში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები (CPV კოდი 45261910), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 *შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება*

2.1. შესყიდვის ობიექტია: ქ გორში სტალინის გამზირი №5, №7, №9, №31 და ცხინვალის გზატკეცილის № 9ა, № 9ბ, № 9გ, №11ა, № 15ბ, №19 საცხოვრებელ კორპუსების სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2 ტექნიკური დავალება

2.2.1 სახურავის პროექტირება და მოწყობა ფურცლოვანა ლითონისაგან განხორციელდეს СП 17.133.30.2011 და СП 31-116-2006 მოთხოვნათა შესაბამისად

2.2.2 სახურავებზე ანკირების მოწყობა ინდივიდუალურად;

2.2.3 ხის მასალა-წიწოვანი ჯიში, ნივნივებს შორის მანძილი არაუმეტეს 1 (ერთი) მეტრისა,

2.2.4 მოლარტყვა-ბიჯი არაუმეტეს 40 სმ, ხის მასალა არანაკლებ 150 მმ X 30 მმ,

2.2.5 მოთუთუებული თუნუქის ფურცელი არანაკლებ 0,5 მმ, (პროფილირებული)

2.2.6 ხრახნიანი საჭრისი რეზინის სადებით დაბალ ღარზე დამაგრებით 35 მმ,

2.2.7 კეხების დაფარვა მოხდეს მოთუთუებული ფურცლოვანი თუნუქით სიგანით არანაკლებ 50 სმ,

2.2.8 საჭიროების შემთხვევაში წყლის შემკრები ძაბრები, წყალსარინი და წყალსადინარი მილები მოეწყოს მოთუთუებული თუნუქის ფურცლით.

2.2.9 თუნუქის ფურცლის გადადება ორ ღარზე.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 250000 (ორასორმოცდაათი ათასი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4.2 სამუშაოების დამთავრებიდან შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების ვადაა 5 (ხუთი) წელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ გორი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სსიპ

„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპრტიზის ეროვნული ბიუროდან" ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების შესახებ, რითაც დადგინდება სამუშაოთა მოცულობები და ფასი.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია ნებისმიერი საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარუდგინოს შემსყიდველს და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპრტიზის ეროვნული ბიუროს" ექსპერტიზის დასკვნისათვის.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი
7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული სამუშაოების მიხედვით, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების (შესრულებული სამუშაოების) აქტი, ფორმა №2. საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპრტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების მოცულობები და მათი ღირებულება, რის შემდეგაც ანგარიშსწორება მოხდება არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
7.3 შესაძლებელია წინასწარი ანგარისშწორება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულების 30 %-ის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დამთავრების ვადას.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
8.3. შემსყიდველი ვალდებულია:
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს დეფექტურ აქტში აუსახავი წუნის აღმოჩენის შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
-გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
- სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მომდევნო დღეს.
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- უამინდობის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ გადაცემული ბრეზენტის გადაფარებას, რათა არ მოხდეს ნალექისაგან საცხოვრებელი ოთახების დაზიანება.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 (ოცი) კალენდარული დღეში;
- სამუშაოების დასრულებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია

გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 % ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 16 ივნისამდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 მუხლში.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12 ხელშეკრულების შესრულების გარანტია
12.1 იმისათვის. რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებაში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე–საბანკო გარანტია, გაცემული „თიბისი ბანკის" მიერ, N1929330-2312539 თანხით 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი. რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 26 მაისამდე.
12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ ბანკს თანხის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნაზე.

13. ფორს-მაჟორი
13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
15.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, გორის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16 სხვა პირობები

16..1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. სუბკონტრაქტორები

17.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების მონაცემები.
17.2. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არარნაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
გორის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს „მშენებელი”
მის: ქ. გორი სტალინის გამზ № 16	მის: ქ გორი თამარ მეფის № 41
საბანკო რეკვიზიტები	საბანკო რეკვიზიტები
ს/ს „ლიბერთი ბანკი”-ს	ს/ს „თიბისი ბანკი”
ბ/კოდი LBRTGE22	ბ/კოდი TBCBGE22
ა/ა GE14LB0120131879389002	ა/ა GE39TB4333036020100017
ს/კოდი 218065910	ს/კოდი 218036676
_______________	_______________
[illegible] თავმჯდომარის მოადგილე	შ.პ.ს „მშენებელის” დირექტორი
[illegible] როსებაშვილი	ირაკლი [illegible]შვილი.

03/106-01

საბანკო გარანტია # 1929330-2312539

გორი **2013 წლის 26 მარტი**

სს "თიბისი ბანკი", მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" გორის სც #1ს დირექტორი ალექსანდრე ზახაშვილი სახით, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

გარანტი:	**სს "თიბისი ბანკი"**
პრინციპალი :	**შპს 'მშენებელი'** საიდენტიფიკაციო ნომერი: 218036676 **რეგისტრაციის თარიღი: 11.01.2005**
ბენეფიციარი :	**გორის მუნიციპალიტეტი**
გარანტიის თანხა :	**7 500,00 (შვიდი ათას ხუთასი ლარი) ლარი**
გარანტიის გაცემის საფუძველი :	"ბენეფიციარსა" და "პრინციპალს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება ბენეფიციარის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, წინამდებარე გარანტია მისთვის მისაღებია.
გარანტიის გაცემის წინაპირობა:	
გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:	გარანტია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც"ბენეფიციარსა და პრინციპალს" შორის გაფორმდება ხელშეკრულება ქ. გორში სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება:	"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადუხადოს მას გარანტიის თანხა.
გარანტიის თანხის მოთხოვნის	მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში: "პრინციპალმა" დაარღვია "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულება. ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარუდგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს სს "თიბისი ბანკის" ს.ს. "თიბისი ბანკის" გორის სც #1ს კანცელარიაში
საგარანტიო თანხის შემცირება:	საგარანტიო თანხა მცირდება „პრინციპალის" ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად.
გარანტიის მოქმედების ვადა :	26.03.2013-დან 26.05.2013-მდე. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, თანდართული "ხელშეკრულების" ასლითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემტხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #458).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ალექსანდრე ზახაშვილი
დირექტორი

/ ---------- /